

350



საკოლიტიკო, საეპიკო და სალიტერატურო ნახატებისა გაზეთი გამოდის უცველ კიბრა დღეს.

№ 37

ს ე მ თ ე მ გ ა რ ი 12 1899 წ.

№ 37

შინაარსი: ქართლი ნ. კორდანიათ — სჩვა-და-სჩვა ამჟები. — „კვალის“ კორქესპონდენციები. — კვირილან კვარამდე. — „მეზღვურის სიმღერა“, ღვევი პ გოგოლაძესა. — დარევაფურის საქმე. — სოფლის ცხოვრება (დასასრული) სოფლებისა. — „ოღონდაც“ პატარა ამხავი (შემდეგი) — წერილები რედაქციის მიმართ. — „კვალის“ ფოსტა და კერძო განცხადება.

რედაქციის ადრესი: არცილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ქ. კუთაისი.

კ ე მ ბ ი

გაბრ. ილ. გოვიელოვი

მიიღებს ავათმყოფებს დილის 9—12 საა-
თამდის, სალამის 5—7 საათ. თფილისის
ქუჩა ლევან ქუჩოროშვილის სახლი № 20

(1—3)

ქ ა რ თ ლ ი.

III. X

ინა წერილებიდან დაენახეთ,
რომ რაც უფრო ძლიერია ქარ-
თლის მებატონე, მით უფრო
სუსტია მისი გლეხები; რაც უფ-
რო დიდ მამულიანია პირველი,
მით უფრო ეიჭრო მამულიანია
უკანასკნელნი. დიდ საკუთრებას

გზა შეუკრავს პატარა საკუთრებისათვის და მით
გზა შეუკრავს სოფლის კეთილ დღეობისათვის.

ასეთ სოფელში სრულიად დაცულია კასტოური იე-
რარებია, რომლის სათავეში დგას ბატონი, ხოლო
ძირში გლეხი. ამათი შემაერთებელი ხილი, საშუა-
ლო შეძლების ხალხი, აღარ არსებობს.

მარა ქართლში არის ისეთი სოფლებიც, სადაც
ეს წყობილება შენგრეულია და ქონებრიერი ურთიერ-
თობა, წოდებრივ ნიადაგზე აშენებული, დარღვეუ-
ლია. ეს თავისთავათ ცხადია, რომ ყველა თავად-აზ-
ნაური დიდი მებატონე ვერ იქნება. ეს წოდება ნივ-
თიერათ ძალიან დაყოფილია და, მაშასადამე, სხვა
და სხვა ალაგას მას სხვა და სხვა გაელენა ექნება.
განსაკუთრებით ქეემო ქართლი წარმოადგენს ბუდეს
წერილ და ლარიბ აზნაურებისას. აეილოთ მაგალი-
თად სოფ. შინდისი. აქაურ კეთილ-შობილ წოდებას
შეიცავს რამდენიმე აზნაური. არც ერთი მათგანი არ
წააგავს ზემო ქართლის მებატონეს. მამული იმათ
ცოტა აქვთ, საკუთრება დაწერილმანებულია, ეზო
სახლი და კარიც ლარიბი კაცის შესაფერი. ამისთანა
მებატონე, რასაკვირეელია, ხშირათ გაჭირებაში და
უფულობაში უნდა იყოს. სტუმარი, წასელა-მოსელა,
ქეიფი მასაც ისე უყვარს, როგორც დიდ მებატონეს;
ხოლო ამის დასაქმაყოფილებელი საშუალება კი
მცირე აქვს. რა უნდა ქნას? რა დარჩენია გარდა



იმისა, რომ საჭიროებისამებრ თავისი მამული ნაჭრებათ ჰყიდოს და ასე წერილ-წერილათ ფულშე აურდაოს. პატია მამულის ჰყიდველი კი ყოველთვის მოიპოვება გლეხობაში და აი, ნაყმევი შეუდგა ნაბატონარის მიწა-ადგილების შეძენას. იმან ნადელებიც აღვილათ გამოიყიდა, აღვილ-მამულიც გაიფართოვა და ამნარიათ ხელთ იგდო ქონება და დოვლათი. და ასე ნელ-ნელა ეს გუშინდელი ღატაკი მაღლა მაღლა აიწია და თავის ბატონს ზედ თავზე ვადაახტა. მან ახლა სახლიც კრები აიშენა, მოჯამაგირეებიც დაიჭირა, პირუტყვიც გამრავლა, ფულიც მოაგროვა—ერთი სიტყვით დაბალი წოდების მდგომარეობისაგან გამოვიდა და საშუალო წოდების წევრათ ვადაიქცა; ბატონი ქვევით დაეშვა, ყმა ზევით ავიდა. იერარქია დაირჩეა. ქონებით გლეხი გაკეთილშობილდა, კეთილშობილი გაგლებდა. პირველი ცხოვრობს ორ სართულიან შენობაში, მეორე კი ქოხში. პირველი უხვათ ჰყიდის პურს და ბზეს, მეორეს კი ის სახმარებლათაც ხშირათ ენატება; პირველმა ძალა და გავლენა მოიპოვა, მეორემ კი ორივე დაპკარება. და ასე, როცა ერთისათვის ცხოვრება გამნელდა, მეორისათვის გაადვილდა. აქ გარევანი შეხედვით ვეღარ გამოარჩევ სად რომელი წოდებაა მოთავსებული, სად ყმა არის და სად ბატონი. აქ უველა აირია ერთმანეთში და სოფელი დანაწილდა თანამთა ქონებასა და არა თანახმათ წოდებისა. სოფლის ასეთი განვითარება თანამედროვე ხანის ლეიძლი შეილია და ამიტომ ის იძლევა თავდებს უკეთესი მერმისისას. ცხადია, სუსტი მებატონე ხელსაყრელი ყოფილი გლეხისათვის და სასარგებლო ქვეყნის ლორძინებისათვის. მარა ამ მდგომარეობით უველა გლეხი ხომ არ სარგებლობს. ეს მხოლოთ უმცირესობაა, რომელიც რჩეულია რაზმში იყრიბება, უმრავლესობა კი ისევ იმ სიღარიშება, რომელშიც ის ოდესმე იყო. ამ უმრავლესობას ახლა ახალი ბატონიც მოევლინა, მხოლოთ ისეთი მკაცრი და მიუკარებული კი არა, როგორიც ძეველია. ის მისი წრის და წოდებისა, ის მისი სისხლი და ხისრია და რაღა გასაკეირდელია ის ერჩიოს. ვაძილებებული გლეხი ფულსაც ასესხებს, კადევაც ჩარჩობს, დრიდ პროცენტებს ახდევინებს, მარა რაც უნდა იყოს უველა ეს „კანონიერათ“ ხდება, ბატონის ბრძანება და მათხახით თან არ ახლავს. ამისათვის, აქ გლეხობაც, საზოგადოთ, წელში გამართული და თავაწეულია. ის აღარ ამბობს: ბატონი გაწყრება, ბატონმა გვიძრმანაო და ვერც ბატონი იტყვის: ჩემი სოფელი, ჩემი ხალხიო...“

ამ გვარათ, საკუთრებას ცვლილებამ სოფელი და უნდა შემდევ ნაწილებათ: ერთი მხრით დგას ღარი-

ბი გლეხობა და გაღარიბებული აზნაურობა, ხოლო მეორე მხრით, მდიდარი აზნაურობა და გამდიდრებული გლეხობა. როგორც ხედავთ, პირველი ორი ჯვუფი დაახლოებულია ერთმანეთთან ნიერიერათ, დაახლოებულია აკრეთვე შეორენიც, მარა ეს კი იგვენი ნიშნავს მათ დაახლოებას სოციალურათ. პირიქით, კეთილშობილ წოდებას, რაც უკრო ფეხიდან ეცლება ნიერიერი უპირატესობა, მით უფრო ის ხელს ჰყიდებს წოდებრივ უპირატესობას და წინ აყენებს ისტორიულ დამსახურებას. იმათ სურათ კასტიური ურთიერთობა რაც შეიძლება გაახარებოდა და ამით მანც იამაყონ. მაგ. კაპიანიში სულლის თავში უთუოთ აზნაურები ჩამწყრილებან, ბოლო ში კი გლეხები (თუ არან). ამათთვის დიღი ბენინიერებაა აზნაურთა გვერდში ამოჯდომა და მათთან ერთათ მოლხენა. ამას წინეთ ერთ ღვდლის ოჯახში (ღვდლი „ნეიტრალია“) წვეულება ყოფილიყო, სადაც აზნაურები და 4—5 შეძლებული გლეხი ღრის ატარებდენ. ეს უკანასკნელნი ჩვეულებრივათ სუფრის ბოლოს იჯდენ. ერთ ამათგანს „მოლიბერალე“ აზნაურმა დაუძახა: აბა მოდი, ჩემთან დაჯექიო. ის გახრებული წამისტრა და ვერდით დაუჯდა. ეს იწყინეს დანარჩენება კეთილშობილება, როგორ გაბედა ჩვენთან ჯდომაო და გაიმართა ლანდლეა-ვინება. „ლიბერალი“ გლეხს წაექმაგა, ესეც ჩვენისთანა კაციაო, ეს აღარ მოითმინეს და გაიმართა მუშტი კრიკი; თავხედი გლეხი ძალან მიბეგვეს და ბალყონიდან ძარს ჩაგდეს. ის ასე იცავენ ქართლის ღარიბი აზნაურები თავის უპირატესობას! თამაშობაშიც კი, იმათი ქალ-ვაჭი ცალკე დგანან და გლეხებისაში არ ერევიან. მათი დიდების ერთათ ერთი ნაშთია ძველი ცახე, რომელიც ყველა სოფელშია, და მისი პატრიონიც მედილურათ მაუთხრობენ მგზავრს: ის შეხედეთ ამას და გაიგეთ, რანი ეიგავით წინეთო! ჩარა არც ერთი ეს არ აფრთხობს გლეხს და არ აბრეკოლებს ნაბატონართან საქმიანი დამოიდებულება ჰქონდეს და არა ბატონებურია. ის ბატონს, თუ მის მიწაზე ხნავს, აძლევს დაპირებულ ღალას და მეტს არაფერს. — ამ შენ ღალას მოგიგდებ, სხვა რა საქმე მაქეს შენთან—ამაუკათ ეტყვის გლეხი დაძაბუნებულ ბატონს. და ბატონიც მორჩილათ და შეუშუოთებლათ იტანს ამ ისტორიის თავხედობას.

ასე თუ ასე, წერილ მებატონეთა სოფელში საკუთრებაც დაწერილმანებულია, მიწა ადგილი ცოტცოტა ყველის ჩამორჩებული აქეს და ამისათვის გლეხ-კაცია, საზოგადოთ, წელში გამართული და გაღმინიერებულია. მარა მიუხედავთ ამისა, თავისი კულტურული ცხოვრებით, დაბექავებულ და უმამუ-

ლო გლეხთათვის ექრ გაუსწრია. შეძლებული გლეხიც ტოვებს ზამთრობით სართულიან შენობას და ბოსელში ბინაედება, ისიც ისეთ ტანისამოსს (კინტოუს) ატარებს, როგორც ყევლა. მას სრულებით არ ეტყობა ჩაცმა-დახურვით, სიტყვა-პასუხით, მიხვრა-მოხრით, რომ ის მდიდარია. მას ჯერ კიდევ არ გაღვიძებია ახალი მოთხოვნილება, არ იტაცებს თავის გამოჩენა, სხევებისაგან განსხვავება, პატივმოყვარეობა; ის ცხოვრობს ისე როგორც მის მამა-პაპას უცხოვრია და როგორც ცხოვრობს დანარჩენი გლეხობა. ის ქონებას ახმარს მამულების შეძენას, პირუტყვის გამრავლებას, თავის მეზობლების ვალის ქსელში ვახვევას და სხვ. საოჯახო ავეჯულობა, სახლის მიწყობ-მოწყობა მას სრულებით არ აინტერესებს. და ან რათ უნდა? სტუმარი თუ მოუვა—ეს ისევ გლეხებია, რომელთა მოთხოვნილება არ აღმატება მის მოთხოვნილებას. მათ რომ ტახტზე ფეხი არ მოაცეციო და თითებით არ აჭარო—თავის თავს უპატივცემულოთ ჩათვლიან. მაშასადამე სტოლი, სკამი, დანა-ჩანგალი და სხ. ამისთანავები მეტი ბარგია. და თუ მაინც იყიდე უხმარობით დამტვერდება და დაფანგდება. გლეხს არი საქმე აქეს: ან მიწას ჩაკირკიტებს ან და ხატობაში მიდის. სხვა ყოველივე ამაოებაა. სკოლა, წერა-კითხვა, წიგნი, მიმოსვლა, ახალ-ახალი საქმეების დაწყება—არც ერთი ეს არ წერია მის დავთარში. შეიძლს, თორმეტიც რომ ჰეყვდეს ერთ-საც არ მოიცილებს, ყევლის საქმეს გაუჩენს, ზოგს ნახის მოუყვენებს, ზოგს გუთაზე დასეამს, ზოგს მელორეთ გახდის, ზოგს მექროხეთ და ასე ბოლობდის.—რატომ სკოლა არ გაქვთ? შევვითხე ერთ კარალეთელ გლეხს.—რათ გვინდა, ჩვენი სკოლა ჩენი გუთანია, მიპასუხა მან ისეთი კილოთი, ეთომშ თავის თავათ საგულისხმო კეშმარიტება ეთქვას. ეს კია, რომ თუ ერთხელ დაარსდა სკოლა და რამდენსამე ხანს გაძლო, მერე არა უშავს რა, გლეხები ეჩვევიან და ბავშებიც სიამოვნებით მოპყავთ მასწავლებელთან. სოდ. შინდისში დიდი დავი-დარაბით და ვაი-ვაგლახით დაარსეს ამ სამი წლის წინეთ ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა. გლეხები ცივ უარზე იყვენ, მარა პოლიციის ძალდატანებით მოაწერის ხელი „პრივოვორზე“. გაიმართა სწავლა, ბავშები გლეხებმა არ მიიყვანეს, მასწავლებელს დახვდეს ღამე გზაზე და კინალმ მოკვლეს. და მიუხედავათ ასეთი სიჯიუტისა, ახლა იმდენი ბავშები მოპყავთ, რომ უადგილობის გამო ყველას ერთც კი ლებულობს მასწავლებელი. და, არც უფრო საკირველია, შეძლებული გლეხი უფრო ეწინააღმდეგება სკოლას, ვინემ შეკდო.—მე თუ არ მისწავლა, ვერაფერი შემიძენია სწორეთ, დაცინვით ამბობს ის და სხვებ-

საც ეს სჯერათ. მარა, როგორც ვთქვი, ეს ჯალტურული ბა თანდათან ტკბება და ახალ ცხოვრებას თავისი გააქვს. მხოლოდ ჯერ შორს არის ის დრო, როცა ეს შესაფერ ნაყოფს გამოილებს და სოფლის განვითარების ერთ ღერძათ გადაიქცევა.

ამ სახით, სოფელი, დიდი საკუთრებით, წელში გატეხილია როგორც ქონებრივათ, ისე კულტურულათ; სოფელი წერილი საკუთრებით, ქონებრივათ რამდენიმეთ წელ-გამართულია, სამავისეროთ კულტურულათ ისევ დაცემულია. ეს საერთო დაძაბუნება, ეს საერთო დაგარღვნა წარმოადგენს საუკეთესო ნიადაგს, რომელზედც თავისუფლათ ხარობს ყოველნაირი უსამართლობა და ძალ-მომრეობა. როცა სხეული დავათმყოფდება, ბაქტერიიებიც ადგილათ ეხვევა. ქართლსაც ასე დახვევია სხეა-და-სხეა ჩჯულის ჩარჩები და უიმისოთაც ტყაც-გამძერალს, კიდევ უფრო ტყაცს აძრობენ. აქაურ სოფელში დუქნები იშეიათია; ძალიან დიდი სოფელი უნდა იყოს, რომ 2—3 დუქანი ბოგინობდეს. მაშასადამე ჩარჩი სოფელში თუ ჩამოვა, თვარა იქ არ ცხოვრობს. მათი ბუდეა განსაკუთრებით გორი და ცხინვალი. პირველი იძლევა ჩარჩი სომებს მეორე ჩარჩი ურიას; ამათ აქა-იქ ქართველი ჩარჩიც ემატება და სამივე ერთათ დაუსჯელათ თარეშობენ, გლეხმა არც წერა იცის, არც კითხვა, არც წონა, არც ანგარიში; რა ქალადზე აწერიებენ ხელს (ხელის მოწერა იხატება ნაცვლის ბეჭდის დასმაში). კითხვა ნაცვალმაც არ იცის), როგორ უწონევენ, რას უანგარიშებენ—ყველა ეს მოუწვდომელია მისთეის, ის ბრმათ ენდობა „ნათლიას“, ტყუილს როგორ იკადრებსო (აქ „ნათლია“ ჰქეია ყოველ კაცს). მე ერთათ ერთი სოფელი ენახე უბატონო (ალი); გლეხები სახელმწიფოა. მარა ბეჭდის წერას ქართლის სოფლისათვის უთუოთ ბატონი დაუწესებია და ამიტომ აქაც, თვადა-აზნაურის მაგირ, ჩარჩი მოუვლენია და სოფელზე გაუბატონებია. გარჩევა იმაშია რომ ბატონს ისტორიული ავტორიტეტი აქეს, ჩარჩის კი ახლათ შენაძენი და ამიტომ მის ხელ-შეკებლობაში გლეხები აღარ არიან ისე დარწმუნებულნი...

ქართლი, ასე დაუძლურებული შიგნიდან, ცხადია, დაუძლურებულიც უნდა იყოს გარეთაც. ის უეღარ წარმოადგენს მაგარ ზლუდეს გარეშეებისათვის და იძულებულია ყველა მიიღოს ცინც კი მოვა. და მიმსვლელთა რიცხვი ერთობ დიდია. მას თითქმის ყოველ მხრივ შემოდგომიან სხვა პროვინციის ხალხები და ნელ-ნელა გულისაკენ მიიწვევიან. დასაცემთო აწვებიან იმერლები, ჩრდილოეთით ოხები, ხოლო სამხრეთით, რკინის გზის განაპიროს, სპარსეთის ქვეშევრლომნიც ჩასახლებულან.

იმერდები, განსაკუთრებით მოდიან ზემო იმერეთიდან ზემოქართლში. აქ იჯარით იღებენ მიწებს აკეთებენ სახლებს, აშენებენ სოფლებს, ამჟავებენ მიწას და ასე თავს იჩენენ. ასეთი ახალი სოფლები ერთობ ხშირია, მათი წლოვანება 3—4 წელიწადს არ აღემატება. ერთ შენიერ დღეს გახედავ და უკაცურ, მოტიტვლებულ ალაგას, სოფელი გახალენულა. ეინ დგანან აქ? ეინ და იმერლები. ისინი დროებით არიან მოსულნი, როცა იჯარის გადა გაუთავდებათ, თუ სასარგებლოთ დაინახეს იქ მუშაობა და მემამულესაც მოურიდენ, ისე ჩემიან, თუ არა და მიღიან უკან, იმერეთისაკენ ან და ისევ ქართლში სხვა ადგილებისაკენ. ამ დროებით მცხოვრებთ გაცილებით უკეთესი სახლები და შენობები უდგიათ კანებ ადგილობრივ გლეხებს, სახლები ხისა და როცა საჭაროა აქა, შენობას არღვევენ, ურემზე უდებენ და თან მიაქვთ. ასე დამოძრაობს და დადის მთელი სოფელი. ეს ახალი მოვლენა უნდა იყოს ჩენ ცხოვრებაში. ბევრს, რასაკირველია, დარჩენა და ახალ ალაგას დამკეიდრება სურს, მარა ეს საძნელო. მცენიდრი მოსახლეობისათვის აუცილებელია საკუთრება, ხოლო მებატონები არ ჰყიდიან გლეხებზე თავის ადგილებს და იმერლებუც იძულებულია არიან დროებით იჯარადრათ დარჩენ, მხოლოთ აქა იქ, ძალიან იშეიათ, დიდი ვაი-ვაგლაბით, ზოგ მათგანს საკუთრება შეუძენია და კიდევაც დასახლებულია. ესენი უფრო ქართლელთა სოფლებში არიან შერეულნი და ამ შერევას კარგი ნაყოფიც მოაქეს. იმერელი და ქართლელი ამით ერთმანერთს უახლოვდებიან, ერთმანეთზე გაელენა აქვთ და რომელი მხარეც კი გადასწევს, მისი შეკედულობები და ზნე-ჩევეულებები იმარჯვებს. ძევლათ ჩამოსახლებული იმერლები თითქმის ერთანათ გაქართლელებულან ენით, ტანისამოსით, ხასიათით—უველაფრით. ახალი ჩამოსულთ, კი პირ-იქით, თავისი იმერლობა მკაცრათ ჩემიათ და ქართლელებზე დად გაელენას ახდენენ. ასე გაშინჯეთ, ზოგან ქართლელი ტეტია იმერლით უქცევს სიტყვებს. იმერელ გლეხს ბატუნზედაც აქეს გაელენა. იმერელი ზრდილია; რიგიანი სიტყვა პასუხი იცის, წმინდათ აცირა და ახურავს და მას ბატონი ისე ვეღარ ეპირობა, როგორც ქართლელ ტეტიას. მებატუნე ნედონელა ეჩვევა იმ აზრს, რომ გლეხსც ადამიანია, რომელიც პატივისურებას და თავმდგრაბლებას მოითხოვს. ბევრ მებატონებს, ას ზრდილობისათვის, იმერელი გლეხი ურჩენია თავის გლეხს. გარდა ამისა იმერელს უფრო მეტი გამოუქანელიდან, უფრო მეტ ნაყოფს ჰალებიებს მიწას, უფრო მიხედება რომელი მიწა რის მომცემია და ეს მემამულისათვისაც ხელსაყრელია. ერთი სიტყვით, იმერლების ასეთი მოძ-

რაობა ქართლში ხალხის გამომაფხიზლებულის ქვეყნის განმავითარებელია.

ოსები, როგორც ვთქვათ, ჩრდილოეთიდან, საოცოთდან, მოდიან დაბლა ბაჩში, ისინი, თავისი გამჭრახობით, საქმიანობით და მოძრაობით, ძრივლწაგავან იმერლებს, მხოლოთ მეტის მეტი ცულლუტი და გაუტანელია. ამ თვისებებისთვის ისინი არსად არ უყართ, ეჭარებათ როგორც მებატონეს, ისე გლეხებს და თუ მაინც ისებს თავის მამულზე ასახლებენ ეს იმიტომ რომ სხვები არაეინაა; ქართლელი გლეხი თავის კერას არ შორდება, იმერლები ცოტა არიან და ქართლის გულში ჯერ ვერ ჩამოულენებიათ, დარჩის ისები და ცარიელ აფელებს ისინი იჭერენ. არა ერთ და ორ მებატონისაგან გამიგონია, რომ ისები უნდა აეყრო და იმერლები მავიწვიოვთ. გარდა ამასა, ისები ბატუნებს არ არიან მატევულნი, ისინი უფრო თავისუფალი ხალხია და ქართლის მებატონესაც ქედს არ უხრიან, გამაჟებიან, ედავებიან, უდაეიდარაბოთ დალას არ აძლევენ, და ამატომ კიდევ უფრო ძულო ისინი, ისები ხალხს გვაუცემენი— ამბობს მებატონე. მარა მიუხედავათ უკელა ამაებისა, ისინი მრავლდებიან და მძლავრდებიან ქართლში. ქართულა წერა-კათხა და ლაპარაკი თითქმის უკელა იცის. სკოლას და განათლებას ძალიან ეტანებიან. მათ უკერელათ დიდი მომავალი აქვთ და მათი დაახლოება და ქართლელი ხალხის გეერდში ამაღლომა სასურველია. ქართლის გლეხობაზე ამათაც გამომაფხიზლებელი გავლენა აქვთ.

სპარსელები დაბინაებულან აკინის გზის ნაპირს და თუმცა ცოტანი არიან, მარა ამათაც კი მეტი უხა და უნარი გამოუჩენიათ, ვინებ ადგილობრივ გლეხებს. ისინი მისდევენ მხოლოდ ბოსტნის მაშენებას, იღებენ იჯარით მამულებს, აბანდებენ რამდენსამც ათას მანეთს და ბოლოს რამდენსამც ათას იძნენ და ასე კამდიდრებული უკან, შინ, მიღიან. მუშებათ კი ქართლელები ჰყავთ დაქირავებული. ქალი და ბავში ბუზიეთ ირევა მათ ბოსტანში; ღლის ქირაორი შაურიდან იწყება და ექვს შაურს არ გადააცილებს. ქართლელ გლეხს ხემ ბოსტანი არა აქეს (ზემო ქართლში); მოდის იმათთან სპარსელი, მააქეს კიტრები, საზამთრო და სხ. და ცულის პურშა. ერთმა სპარსელმა დაწყო ნ დამღრალი კიტრი და სიკილით მითხრა: აი ამაში სოფელში, ნახევარ ჩანას პურს მომცემენ!

და ასე, ქართლში უყელანარი ხალხი შოულობს საჭმელს, გარდა ქართლელი გლეხისა!

ნ. უორდანია.

სხვა-და-სხვა ამბავი.

გასულ კერძას, 5 ამ თევს, მოხდა ექიმ მან. გე-დევანიშვილის კერძო სამკურნალოს კურთხევა. კურ-თხევას დასტრიო დიდი საზოგადოება, როგორც ქარ-თველნი, ისე რუსნი და სომებნი. შემდეგ კურთხე-ვისა სტუმარნი მიიპატიებს საუზმოზე და საღამოს 4 საათამდეს სტოლიდან აღარ ამდგარან. სამკურნა-ლო შედეგი 10 ქარგათ მოწყობილი ოთახისაგან. 4 ოთახი შეცავს 6 საწოლს ავათმყოფთათვის, დანარ-ჩენი მისაღები და სხვა ოთახებია. სამკურნალოში მოწყვეულია საუკეთესო ექიმები, როგორც მაგ. ტარ-სა-ძე, მაღალაშვილი, ერისთავი, ჩუდონებეკი და სხ. გაშინჯვა და დარიგების მიცემა ლირს 50 კპ. აგრე-ოვე უნდა ითქვას, რომ ეს სამკურნალო სამხანგო სამკურნალოა და არა კერძო პირის საკუთრება. ის ეკუთვნის მის. გადევანიშვილის, რომლის სახელზეა ნებართვა აღმზული, გ. მაღალაშვილ ს და ვ. ჭიკი-ნაძეს.

ამ დღეებში წერთან შემოვიდა ბერლინის უნი-ვერსიტეტის დოცენტი, ცნობილი მსწავლელი მაკ-ლემანი. ის აგრ 17 თევა რაც სამშობლოდან წამო-სულა და მცირე აზიაში იმყოფებოდა. მიზანი მისი მოგზაურობისა არის განის ლურსმული წარწერის წაკითხვა და განძარტება. ის ძლიერ კმაყოფილია თავისი მოგზაურობით, რეთი რამები აღმოვაჩანე, რასაც სრულებით არ მოველოდიო. რაც შეეხება ლურსმულ წარწერას რას ქართულ ენასთან უნდა ჰქონდეს მჩგავრება, მარა ამას დამტკიცება ეჭირე-ბაო. და აი მასი მიზანია ეს ძელი ენა აღადგინოს და ახალს დაუკავშიროს. ქართული ცოტა შეუსწავ-ლია, ისე რომ კ-თხევა იცის და ცოტაოდენი კიდე-ვაც ესმის. უკანვე ბერლინში ამ ერთ კურიაში დაბ-რუნდება.

ამ თევში სრულდება ოცი წელიწადი მას შემ-დეგ, რაც ქართული თეატრის მუზემიერი დასი დაა-რსდა. ამის გამო ამ თევის 26 მოხდება საიუბილეო წარმოდგენა და დაიდგმება სწორეთ ის პიესები, რო-მელნიც ამ ოცი წლის წინეთ დაიდგა, იმ პირთა მო-ნაწილეობით, რომელნც მაშინ იღებდენ მონაწი-ლეობას.

ქართული თეატრის სეზონი დაიწყება 15 ოქ-ტომბერს. წელს მოწვეული არიან რამდენიმე ახალი არტისტები და დაიდგმება უმთავრესათ ახალი პიესები.

პეტერბურლის უნივერსიტეტისთვის თავი დაუ-

ნებებია შემდეგ ცხრა პროფესორს: კარეებს, ისაეგს, სკემინიკებს, ბასეს, გრეეს, ვეინბერგს, ვანგვრაეს, კნი-პოერის და ბატოუშვილს. ხოლო მოსკოვის უნივერ-სიტეტისთვის თავი დაუნებებიათ ცნობილ პროფესო-რებს ჩუპროეს და გამბოროეს.

უმაღლეს მთავრობას უბრალებია: თფილისის გუბერნიაში მცხოვრებ 16 რუსის ჯარის კაცთ და რუსის გლეხთა ოჯახს თფილისის მაზრაში 122 დე-სიატინა მიწა მაეცეს, ახალი სოფლის დასახასებლა-ოთ. სოფელს დაგრემევა „გეორგიესკოე“.

განზრახვა აქვთ დაარსონ შავი ზღვის პირათ, სოჩის მახლობლათ, ორი ახალი ქალაქი ხოსტი და ჩობანისკი. აღვილების გაზომვას უკვე შედგომიან, ხოლო სექტემბერში საჯარო ეაჭრობით გაიყიდება საქალაქო აღვილები.

როგორც იყო შედგა ძეელი სენაკის სათავად-აზნაური სკოლის მასწავლებელთა კრებული. ინს-პეტორია თ. მთავრიშვილი, მასწავლებელი: არ. წითლიძე, ნიკ. ჯანაშია, პოლიკარპე ლორთქითანიძე და ბრეტონ ბერიძე.

გასულ კვირას ნემეცების ბალში ქართული თე-ატრის სცენარიუსი, ალ. ბაქრაძის მეთაურობით გაიმართა ქართული წარმოდგენა. დადგეს „პარიზის ლატაკნი“, რასაც ძალიან ბევრი მაყურებლები დაეს-წრენ. წელს ბაქრაძის თაოსნობით ხშირათ გამართუ-ლა წარმოდგენა და, უნდა ითქვას, ყოველთვის რი-გიანათ ჩაუყლია. „პარიზის ლატაკნიც“ მწყობრათ და სასამოვნოთ ჩატარეს. განსაკუთრებით თავი იჩინეს ქ. ლ-ეს ქალმა და ბ. ევლოშვილმა. ორივეს ეტ-კონცერტისტული ნიჭი და კარგი იქნება ამ ნიჭს თან-და-თან განაერთარებდენ და სცენის საქვე-ს რიოზულათ ხელს მოჰკიდებდენ.

თფილისის პოლიციეტეტრიმა მასტიცები თავი დაანება სამსახურს და გაემგზავრა თავის ქვეყანაში.

„აქვალის“ კორესპონდენციები.

ს. ჯუმათი. (გურია) ეს სოფელი გურიის ერ-თი უკან ჩამორჩენილ სოფელთაგანია. ჯუმათი სა-ზღვრავენ ჩოჩხათი, ლანჩხუთი, აცანა, ძიმითი, რომ-ლებსაც ოჩ-ოჩ ქლასიანი სასწავლებლები აქვთ სა-ხალხო წიგნსა-ცავ სამკითხელოებით. ჯუმათელებმა მხოლოდ ახლა გაგზავნეს დრეკცაში პროექტი და-

სამტკიცებლათ სკოლის ორქოსიანათ გადაკეთების
შესახებ. წიგნსაცავ სამკითხეელო ჯერ სიზმრაოც
არ უნახავთ. ჯუმათელმა არ იკის რა არის
თეატრი, მას რომ თეატრზე ლაპარაკი დაუწყო, ის
პირველას გამოისახავს და ასე მოგიგებს: „ღიე-
რომა დაწყებელოს იგი თრიათრია თუ რაცა
ეშმაკი. ერთხელ ჯუმათობაში (იარმუკობა) კუკურე
იმის ჭყიპინს და იმ კეირეში საზმრაო მადგაო“ (ჯუ-
მათელს წარმოდგენა ტიკინების თამაშობა ჰერნია და
აკტიორი—Петრუშა). გაზეთში თუ ახალი ამბის მე-
ტი რამ არის, მან არ იცის. მეტე ვინ არის დამნა-
შავე, რომ ხალხს არ ესმის ზემოხსენებული ორ-
განოების მნიშვნელობა? სად არიან მოღვაწეები, სი-
ფლის ბურჯები, „ნასწავლი, კარში გასული“ კაცები,
მღვდელები და აჩნაურნი? მარა ვგონებ იმათ თავისი
პირადი ინტერესები, ბატონათ გაუხდიათ, საზოგადო
ინტერესები, როგორც მეტი ბარგი, განზე მიუტოვე-
ბიათ და პატრიარქალურ, ლუარსაბულ ცხოვრების
ეწევიან.

თუმცა ამას წინეთ გამბობდი, გზები არა გვა-
ქს მეტეი, მარა ახლა არ შეგვიძლია მაღლობით არ
მოეკისენიოთ ბ.ნი მამასახლისი, რომელიც მუყაითათ
შედგომის გზების გაუმჯობესობას. მუდამ დღე მუ-
შაობაა: გზებს კერძევენ და ასუფთავებენ. სკოლის
ორკლისაინათ გადაკეთების შესახებ პროექტი, რო-
გორც ზევით ვთქვით, უკვე წარდგენილია დასამტ-
კიცებლათ, რომელიც მოვა სისრულეში თუ არა,
უშერთმა იცის, რადგან საზოგადოება ჯერ მთლათ
არ არის თასახმა.

ჯუმათის სასამართლოში მოდის ს. ჩხარტიშვი-
ლის სახელზე ხუთამდე გაზეთი, რომლებსაც ზოგა
საზოგადოების ფულით იწერენ და ზოგს თა-
ვისივე ჯიბით. ეს, გარდა ექვსი შეიდი კაცი-
სა, არაერთ იცის და თუ ცის, წაკითხვა-გადათ-
ვალიერება არ ეპიტნავებათ, გადაატრიალ გადმოატ-
რიალებენ და იქვე მიაგდებენ. კარგს იზამენ ბ. ბ. ს.
ჩხარტიშვილი, ე. გოგუა, მღ. სამ. დარჩა, ივანე და
იოსეფ კანდელაკები და მასწავლებელი გაბერია, რომ
გაავრცელებდენ ხალხში პატარა წიგნაკების და ქურ-
ნალ გაზეთების კითხვას, მოსპობდენ ზოგრერთ ცრუ
მოჩრწმუნეობებს და მით გამოიყენდენ ხალხს
დაპრეზიდ ძელებურ გზიდან. ძალიან კარგს იზამს ავ-
რეთე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარტიუ-
ლებელი საზოგადოება“ მოაპყრობდეს თავის მოწყა-
ლე თვალს გურიის ჩამორჩენილ კუთხეს და გამოუ-
გზავნიდეს პატარა წიგნაკებს, რომლებიც მომავალ
სამკითხველოს დარსებამდე დიდ საჩვებელი მისცემს
როგორც გარეშე მკითხველთ, აგრეთვე მოსწავლე

ბაჟშებს. გამოგზავნა შეიძლება ამ აღრესით: Черезъ
Ланчхуты Въ Джуматское Сельское Управление, с. Чха-
ртишили

၁၃၂

დასა დანიშნული. დღემდე ლანისუთი, სხვა საზოგადოებაზე წინ თუ იყო, თეარა უკან ჩამორჩენა არ ეტყობოდა. დღესაც, ჩაც შეიძლება, მონდომებულნი არიან აქაური მკიდრნი, რომ წინ მსვლელობას არ ულალატონ, მაგრამ არ იქნა, არ მოხერხდა. აյ არსებობს ერთი ორ კლასიანი სასწავლებელი, არის სამრევლო და კერძო სასწავლებელი, მაგრამ მსურველო მაინც ვერ აქმაყოფილებს. მთავრობამ გამოუცხადა საზოგადოებას, ორ კლასიანი სასწავლებელი ოთხ კლასიანათ გადაეკეთებით, მაგრამ საზოგადოებამ უარი განაცხადა, ისედაც შევიწროებული საზოგადოება ამდენი მასწავლებლის ჯამაგირს ვერ ვიტორითებთა და მთავრობამაც მოგვცეს შემწეობაო. ერთი საუკეთესო მასწავლებელი, ბ. არსენ წითლიძე, აქედან გადავიდა სენაკის საზნაურო სკოლაში, ამან დიდათ გული დასწევა საზოგადოებას. მის მავიერ მასწავლებელი ჯერჯერობით არ მოსულა, რამაც სწავლის საქმე დღემდე შეაჩერა. ახალი მოსწავლეები წელს ძალიან ბეჭრი არის, უადგილობის გამო ვერ მიიღეს და უკან დაბრუნებული მშობლები ერთმანეთს შეჩინან, წელს ჩემი ბაეში კიდევ არ მიიღესო. საზოგადოებას არავინ ჩავონა, რომ ბაეშის მიუღებლობა სასწავლებლის სიიწროეის მიხეშია. აქამდის ლანჩხუთში მშეიღებიანობა სუფევდა, მაგრამ დღეს კეთილ საქმეთ მიაჩნიათ ჩხუბი და კაცის ჭვლა. ამის მიხეში ის არის რომ აქ ჩამოიდიან სხვა და სხვა სოფლიდან ყმაწეილები, რომლებიც თვეობით რჩებიან უსაქმერათ, ჯიბე ში ერთი გრიში არ გააჩნიათ და საქეიფოთ სამიკიცნოში დაეხეტებიან; მედუქნე იძულებულია უუფლოთ ახარჯოს. თუ უარი უთხრა მედუქნემ მაშინ უნდა უყურო იმათ ხანჯლის ტრიალს... ასე პოხდა მ ამ თვეს: ცოტათ შექეიფებულ თავ-ა-შეებულები შეცვევდენ ყრამან და მიხეილ კუკულაძის სასმელების დუქანში და ჩაც ბოთლი და ჭიქა ეწყოთ სტოლზე დამტკრიის. ზარალის ანგარიში ახალ მოქეიფებს მოთხოვა მედუქნემ, ეს იწყინეს და ერთმა მოქეიფებ მ. კვირკველიამ ამოილო რევოლვერი, და ესროლა მედუქნეს უ. კუკულაძეს, მისდა სახელი როთ კუკულაძეს ტყვია აცდა და კედელს მოხვდა. ამ ღრის დუქნების ყარაულათ ნამყოფი, ბესარიონ ცინცაძე ეცა კვირკველიას, გამოიყეანა გარეთ და რევოლვერს ართმევდა, ამავე ღრის ეცა კვირკველიას მა ცინცაძეს და დაუმიზნა თავში რევოლვერი. მაგრამ არ გავარდა. იმათმა მშლებელმა, სხვა

სოფლიდან მოსულმა, ბ-ნ გოვობერიძემ ცინკაძეს ხანჯალი შემოკრა, მაგრამ ჭრილობა ვერ მისცა. როდესაც საქმე გამწვავდა რამოდენიმდე ვაჭრები მიე-შველენ და მოჩხებრებს იარაღი წართვეს. ორი მა-მასახლის, ლანჩხეთის და ჩიბათის, აქ ბრძანდებო-დენ და ყველა თავის ტყავს უფროთხილდებოდნ. არც ქალაქის ყარაული იყო სიახლოებეს. უიარაღოთ დარჩენილმა მოჩხებრებმა იგდეს ხელში ქვები და მამასახლისები და მაყურებლები დაპყნონტეს. ვიღაც მაღლიანმა შეატყობინა ეს ბოქაულს და ბოქაული იმ წამსვე გაჩნდა იქ თავის დარაჯებით. როცა ბო-ქაული დაინახეს მოჩხებრები შეზინებულები დაიფა-ნტენ, ორი მათგანი იქავე დაიჭირებს, და ერთიც, გო-გიბერიძე, ნახეს საძროებში დამალული და დაიჭირებს, ბოქაულმა იმ დღეს ლანჩხეთის სასოფლო სატუსა-ლოში გაგზავნა სამიეკ ლამზაშავე. მეორე დღეს ბევრი დამხსნელი და დამრიგებელი ამოჩნდნ, მაგრამ მომჩი-ვანი ვერ დაიყოლის. სამიეკ დაჭრილები შეიდის დარაჯით ბოქაულმა მაზრის სასამართლოში წარადგინა.

იყნე, გიორგილაძე.

გვირიდან გვირამდე

ეძიებდე და ჭროებდე — ასაფი სასწაულება — ბრძოლა, ჭროგრესის „გარშემო — ქოჩინას თამაში — აირია მონაცტერი — დამეარდა მშვი დღისანთბა.

ქამდის თვილისის თვითმართველობა იტაცებდა ჩეენ ყურადღებას და ხშირათ მასზე ელაპარაკობდით. ახლა კი მისი ალაგი სოხუმის თვითმართველი იბამ დაიჭირა და ლამის სხვა ქალაქი დაგვავიწყოს. ნათ-ქეამია დაწოლილს არ ცემენო და ამიტომ თვილი-სის საბჭოს და მის უფროს კაი ხანია თავი დავანე-ბეთ. მარა ღმერთმა არ დაგვტოვა უმოწყალოთ და ბ. ევანგულოვის მაგიერ ბ. ბერენსი მ. ჯვეილინა. ეს სახუმრო ბერენსი კა არ გვევნოს; პირიქით ის დიდათ შესანიშნავი აღამიანი ყოფილა. სულ ორი თვე არ იქნება რაც სოხუმი დედაბუღიანათ ჩაიბარა და ამ მოკლე დროში უკვე მოასწრო თავის გამო-ჩენა და ქვეყნის ალაპარაკება. და მერე რანაირათ? სწორეთ გეროსტრატულათ; ცხონებულ გეროსტრა-ტრმაც ხომ სახელი გაითქვა იმით, რომ ტაძარი და-წყა. ბ. გერენსიც სახელს ითქვამს იმით, რომ საბ-ჭოში ბატონ-ყმობა გაუჩაღებია და „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ს დამღერის. იმას ხმოსნები თავის სათამაშო იარაღებათ გაუხდია, და მათ საითაც სურს იქით

ტყორუნის, როგორც უნდა ისე ათამაშებს, ყურები საითაც უნდა იქით აბამს, თვალს რანაირიც უნდა ისეთს უკეთებს — ერთი სიტყვით ის ხმოსანთა უება. რი „შაკეთებელი“ ყოფილა... *

* * *

ღრმათ ჩახედვა და შორს გახელვა რომ ძალიან საჭიროა — ეს ყველამ იცის, მარა ამას იშევითათ ვას-რულებოთ ხოლმე. ი მაგ. ახალ-ქალაქში, საზოგადოე-ბა საბეჭრნალოს ააჩვებს, კომლი თითო მანეთს იხდის ამ მიზნისათვისი იწერებიან იქიდან. და მერე წეტა იცოდეთ ახალქალაქელთა მდგომარეობა! აქ ჟური რა არის და ისიც კი სანატრელ ხილათ გამხ-დარა გლეხებისათვეის და ამ დროს ჟურის მაგიერ წამალს აწოდებენ. და ამასაც მათიც ხარჯით. ჩეენ მაშინ იქ ვიყავით, როცა ამ სავას შესახებ დავა იყო ატენილი ხალხში. ბატონებო, საჭმელი გვეჭირვება და არა წამალიო — გაიძახოდენ გლეხები, მარა ძალათ მაცხონები ხომ ყველგან არიან და აქაც, რასაკეირ-ველია, არსებობენ. ეს გახლავს ქაური მამასახლისი და აქაური მირაბი. ამათ ორივეს ჯამაგარი აქეთ და ამიტომ ორივე ერთმანეთს ირჩევს. და ი ეს ძალათ მოხელენი საწყალ სოფლელთ ჩაურენიან: თქვენ გშიათ იმიტომ რომ ექიმი არა გყავთ, გამოიღეთ ფული, მოიწვიეთ ექიმი და სულ ყველა მაშინ დაძ-ლებით! მართალია, ასეთი სასწაულ — მოქმედება ხალხს არ სჯერა, მარა მას უინ ჰყითხავს, მას უბრძა-ნებენ და გათავდა. ი ეს არის თურმე სასოფლო პოლოგრესი!

* *

ნამდეილ პროგრესს მგონი გურიაში წატანეს ხელი და მოგეცათ სიცოცხლე იმას დღეს აყენებენ. ი მაგ. ლანჩხეთში ავერ რამდენი ხანია, ერთი მი-წოლია-მოწოლია გამართულა ბ. პროგრესის, ე. ი. სამკითხველოს გარეშემო, ა. ა, ჩემქენ იყოს, არა, ჩემქენო. სამკითხველო კაი ხან ია არსებობს, მა-რა ახლა ზოუსურებიათ მისი განახლება და შე-ნობის გაფართოვება. და ი ამას აუტენია ყალ მა-ყალი. პარტიაც ორია რასაკეირველია, ქვედა კაც ქვეევით აწვება და ზედა კაცი ზევით, სწორეთ ისე როგორც ბურთათბის დროს იციან ხოლმე. ამ ექვსი წლის წინეთ, ბიბლიოთეკა და გაზეთი ლანჩხეთულს სასაკილოთ ჰქონდა აღებული, ეს მოცლილი ხალ-ხის გამოვლებათ. ახლა კი იმაეკ სავასისათვის თავ-პირს იმტვრევენ და თითოეული თავის ეჭისენ მიეწერება. მაშ რა ჰქვია აპას, თუ არა პროგრესი?

* *

... 60 თუ 70 წელია რაც ბ-რჯომის ხეობებში დასახლდენ ქართველი გლეხები (გრეთვე რუსები,

რომელთაც ახლა ქართველებისაგან ვეღარ გამოარჩევთ) და გაშენეს სოფლები. 1872 წ. ეს მამული ხემწიფე იმპერატორმა აჩუქა თავის ძმას დიდ მთავარს მიკეილ ნიკოლოზის ძეს. ამ დღიდან გლეხებს და მამულის გამგებს შორის დაიდა ხელ შეკრულებები და ამის ძალით ისინი ფლობდენ მამულს. გლეხები გადაიქცენ ამ მამულების მოიჯარადოეთ, რომლის დათხოვნა თუ ხელახლათ მიღება შეიძლებოდა ყოველ ექვს წელიწადში. (ხელშეკრულობა ექვს წელიწადით იწერებოდა).] 1889 წ. მთავრობამ

გამოსცა ახალი კანონები ხიზნების შესახებ. ბოლომის გლეხებმაც გაიგეს ეს და მოინდომეს ხიზნებათ ყოფნა და არა მოიჯარადოებათ, ხოლო ხელშეკრულობები კი მოწმობდა მათ მოიჯარადოებას და არა ხიზნობას. ამისათვის განიზრახეს პრიობის ქალალდები აღარ განვახლებით, ეცხოვნათ ისე უქალალდოთ, ხოლო ყოველივე ძევლი მოვალეობა შეესრულებიათ.

* *

ამის წინააღმდეგი შეექმნა გამგეობა და მისმა უექილმა ნიკ. აბაზაძემ უჩივლა გლეხებს, გადასახლეთ ისინი თავისი აღგილებიდანო. ვექილმა აიღო „ისპოლნიტელნი ლატ.“ და პრისტავი კარზე მიაყენა, სხვათა შორის, პეტრე კაჩუნაშვილს, სოფ. ცაგერის მცხოვრებს. კაჩუნაშვილის და სხვა გლეხებს გადასახლების ამბავმა ააღელვა ხალხი და სასამართლოს გადაწყვეტილება ვერიქმნა სისრულეში მოყვანილი. 22 მარსს, (1899 წ.) პოიგანეს პოლიციის ბოჭაული, სტრაფები და სხ. და მოინდომეს კაჩუნაშვილს ძალათ აყრა. იმავე საათ ში გლეხისას თავი მოყარა 200 კაცზე მეტმა და, როცა გაიგეს კაჩუნაშვილი უნდა გადასახლონ შორაპნის მაზრაში, ერთმა მათგანმა რომანაზ ჩადუნელმა, დაიძახა: „ჩევნ არ დაგანებებთ იმათ აყრას,“ და მას ბანი მისცა ხალხმაც. ხოლო კაჩუნაშვილმა განაცხადა: ჩევნ არას გზათ არ დავანებებთ თავს იმ მიწა-წყალს, სადაც ამდენი ხანი გეოცხოვნია, ძალ-ლონე შიწაში ჩაგვილევა და ასე გაჭირებით შეგვიმუშავებიათ. ხლოხმა დაიწყო ყეირილი, არ შეძლება, არა; დღეს იმას გადასახლებთ და ხვალ ჩევნო. პოლიციის




სხვა და სხვა ჯიშის კატები ვენის გამოფენაზე.

ბოქაულმა ჩატრებს უბრძანა გარეკეთ ხალხით, და ის იყო მოხდა შეტაკება. პოლიციელები გარეკეს და კაჩუნაშეილის სახლი ხალხმა დაიკავა: არ მოხვიდეთ სიახლოეს, თვარა მოგვლავთო, უკეთოდენ პოლიციელებს. მაშინ კი თავი დაანებეს ხალხს და მეტად დღეს იმავე სოფელში მოვიდა ვიცე-გუბერნატორი, ერთი ბატალიონი და ორი როტა სალდათები. ახლა ვედარ გასწიეს წინააღმდეგობა და კაჩუნაშეილი აჰყარეს.

* * *

მთაერობის წინააღმდეგობისათვის 9 კაცი სამართლიში იქმნა მიცემული. ამათ შორის, რომანოზ და

შაქრო ჩადუნელი, და თითონ კაჩუნაშეილი, როგორც არეულობის მეთაურები. ადგილობრივ მამასახლისმა ჩადუნელზე აჩვენა: ის რომაზ იყოს, უკელი უთანხმოება გამგეობას და ხალხს შორის კაიხანია მოისპობოდათ. და მართლაც, დამტკიცდა რომ ისინი ყოფილი გლეხები წინამდლეარი. პროკურორმა ითხოვა მათი „კატორლაში“ გაგზავნა. მარა ილქის სასამართლო მას არ დაეთანხმა და დადგინა: შაქრო ჩადუნელს მიესჯოს + თვე ციხე, ხოლო დანარჩენთ, გარდა დომინიკა კაჩუნაშეილისა, რომელიც გაამართლეს, ვ კვირას სოფლის ნაობახტო.



ქალაქის საბჭოს სახლი ნიო-იორკში.

მეზღვაურის სიმღერა.

სცემს მრისანეთ ქაში
საჭირო,
ზღვა აგრძებს მძღვრათ ზეი-
რთებს.
გასწიო ნავთ! გასჭერ ზეკორნი!
გასწიო მუდგრათ! გასჭალ კა-
დეს!..

ცა ღრუბლებით დაბურუდა,
ქარხს დადაგს, ზღვა ღრიალებს,
ზღვა— უკელოთ დაძრვის ქარი,
ზეირთებს თავზე დასტრიალებს.

გასწიო ნავთ! ნუ შეკრთხა
მავ სტიქიას ძღიუთ მაღაზე.
შეხე! ტალღა მოდის ჩენწენ,
გადარე მაგის თავზე!..

ზღვის უფეხული მის ძირისკენ
ჩათლებას გვემუქრება,
უკელ ფეხის გადაფიშაზე
სელს გვიშლის და წინ გვიდგება.
გასწიო წინა, ჩემო ნავთ!
კელით, მისი ძღიურება
და გავიდეთ სამშვიდობოს,
სადაც საკოფო გვებულება.
ცა ღრუბლისგან იწინდება,
ქარმა დედო, უკა ღბება,

ზეირთი ქაფებს არ აუნებს,
ზღვა კლებულობს, ზღვა მშედდება.
გასწი ნავთ! მოუხქარე!
სანაცრელი კიდე ჩნდება.
სედაგ? სატრიუ სედა გვიქნებს,
ჩვენ მისვლას კლდება.
მაშ, წინ ნავთ! ჩემთ ნავთ!
მადაქი იმ ტებილ კიდეს,
დამანახე ის, ვისოვისაც
გერმები სასტრი ზეირთებს.

გ. გოგოლაძე.

დრეიფუსის საქმე.

